წელიწადი 1-ლი    გაზ. ფასი 10 კ.    ტელეფონი №76.    ხუთშაბათი 15 ივნისი 1917 წ.

# ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
წლი რად. . . 15 მან.
ნახევარი წლით . . 8 მან.
თვიურათ . . 1 მან. და 50 კ.
ცალკე ნუმერი ათი კა[illegible]
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიანთ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს [illegible] 3. სამი თვის შემდეგ კიდევ [illegible] დანარჩენიც სექტემბრის პირველ[illegible]

განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე [illegible]
[illegible] ლირს . . . 25 კ.
უკანასკნელ გვერდზე 15 კ.
ქალაქ გარედან მიიღებოდი [illegible]
[illegible]
[illegible] გამომცემლობის [illegible]

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქ. ს. მიქელაძის ს.
კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდის, და საღამოს 5—8 საათამდის, კვირა უქმე დღეების გარდა.

№ 54    ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი    № 54

ღრმად დამწუხრებულნი: ბესარიონ, ანდრია, ქრისტინა ლოლუასი, სოფიო ჩხეტიასი და ანასტასია ენუქიძისა იოანეს ძენი და ასულნი, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უსაყვარლესი მამისა მღვდელის

**იოანე ოქროპირის ძის ხოჯოლავას**

გარდაცვალებას. გამოსვენება მიცვალებულის სადგომიდგან და დაკრძალვა დანიშნულია ხუთშაბათს, 15 ივნისს, წირვის შემდეგ, ქვალონის წ. გიორგის ეკლესიაში.

---

ელექტრო **„რადიუმ“** თეატრი

12 ივნისიდან ნაჩვენები იქნება საუცხოვო სურათი

**ბედნიერება არის თუ არა**

**ძლიერი სიყვარულზე?**

კინო დრამა 5 ნაწ. მონაწ. მარია რუტცი, კ. ხოხლოვისა, ბ. რუტკოვსკი და დორონინი.

**ანონსი:** ხუთშაბათიდან 15 ივნისიდან ნაჩვენები იქნება

**თავადის ქალი ლარისსა.**

მხატვრ. დრამა 4 ნაწ. ბარანცევიჩისა და ქერუვიმოვის მონაწ.

**ორი ტურფა** სახუმარო 3-ნ სკანდალინის მონაწ.

**ყურადღება!** ამ დღეებში გაიხსნება თეატრის საზაფხულო განყოფილება!

---

ელექტრო **„ამპირ“** თეატრი

12 ივნისიდან 1917 წ. ნაჩვენები იქნება

მიმდინარე ამბების ქრონიკა და საგულისხმიერო პროგრამა

**მეუღლე თუ დედა?**

1 სერია, დრამა 4 ნაწ. მონაწ. გერმანოვისა და სხვა.

**ანონსი:** ხუთშაბათიდან, 15 ივნისიდან

**შეურაცხყოფილი ვენერა**

კინო-პოემა 5 ნაწ. (ციკლი: დიდება უგონობას) მარია რუტცისა და ხოხლოვის მონაწ.

**ოლიას ვერ მოარჯულებთ!** სახუმარო.

**ყურადღება!** ამ დღეებში იხსნება საზაფხულო თეატრის განყოფილება!

---

## ხელის მომწერთა — საყურადღებოთ

გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორა სთხოვს ხელის მომწერთ, რომელთაც ვადა გაუთავდა ან უთავდება დროზე შემოიტანონ ხვედრი ფული უკიდურეს შემთხვევაში კანტორა იძულებულ იქნება შესწყვიტოს გაზეთების გზავნა.

---

სატახტო ქალაქის ცირკი ძმ. ეჯიმოვებისა.

ჰოსპიტლის ქუჩა საკუთარ სახლში.



ხუთშაბათს 15 ივნისს 1917 წ. გაიმართება წარმოდგენა, რომელიც შესდგება საუკეთესო პროგრამისან; მონაწილეობას ღებულობს მთელი ცირკის დასი უკანასკნელი გასტროლები გამოჩენილ ბელგიელთა დასისა

**5. კლიკეტი,**

პროგრამის ზევით; 26 დღეა ჩემპიონ ქალთა ფრანგული ჭიდაობა. დღეს იჭიდავებს 4 წყვილი. 1 წითელი პირბადოსანი და სადინიაკი ადგილობრივ ჯარის კაცი. 2. ქალბატონი პეტერსონი და სულეიმანი. 3. იანკოვსკაია და ანსტემა. 4. კავკასიურად იჭიდავებს ოდიშელი და ტოროშელიძე. დასაწყისი წარმოდგენისა საღამოს. 8 ნახევარ საათზე. ჭიდაობის დასაწყისი 10 საათზე.

პარასკევს 16 ივნისის გაიმართება გრანდიოზული ბენეფისი გამოჩენილ ბელგიელთა დასისა.

**5 კლიკეტი**

---

გამოცდილი — მასწავლებელი

**(სტუდენტი) ამზადებს მოწაფეებს ყველა სასწავლებლებისთვის.**

ნახვა შეიძლება ფერაძისა და კარნაუხოვის სტამბაში დილის 11 საათიდან 3 ს.

თ—1

---

**ექიმი** ვალერიანე მ. ღორთქიფანიძე იღებს შინაგანი, ბავშთა და ნერვების სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე დილის 10—2 საათ. და საღამოს 7—9 ს. პუშკინის ქუჩა, ვიტეშინსის სახლი

---

დოკტორი მედიცინისა პრივატ დოცენტი **ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი** დაბრუნდა და განაახლა მიღება ავათმყოფებისა დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—9 საათამდი.

მისამართი: გოსპიტლის ქუჩა საკუთარი სახლი.

---

# დღეს:

**წერილები:**

ტრ. ჯაფარიძე: — ნ. დერნოვს.

dis: — სისადე.

ი. გომართელი: — ეროვნული საკითხი.

ნოე ჟორდანიას მოხსენემა ეროვნულ კითხვაზე.

მ. ბუაჩიძე: — შრომა.

შაქირბეგ: — წერილი სპარსეთიდან.

**ცნობები:**

საქართვ. ეროვნ.-დემ. პარტიის კონფერენცია. რევოლუციის ამბები. უცხოეთი. რუსეთი. პეტროგრადის ქართული კოლონია. მოწერილი ამბები. მსოფლიო ომი. შემოწირულება. ახალი ამბავი.

---

## ეროვნულ-დემოკრატიულ

**პარტიაში ჩაწერა**

შეიძლება ამავე პარტიის სალექციო დარბაზში (ვორონცოვის ქ. ოცხელის შენობა, ბაღის პირდაპირ). დილის 10—2 საათამდის და საღამოს 5—10 საათამდის და აგრეთვე

გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორაში

(თფილისის ქ. სოფ. მიქელაძის სახლი) დილის 9—2 საათამდის და საღამოს 5—8 საათამდის.

---

— ქ. ქუთაისი —

ამ დღეებში ქ. ქუთაისში

**გამოვა**

წმინდა სამხატვრო

სალიტერატურო

ჟურნალი

**„სირინოზი“**

მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი დამსახურებული და ახალგაზრდა

**მგოსან-ბელეტრისტები**

მასალები მიიღება შემდეგი მისამართით: ქუთაისი „ჩვენი ქვეყნის“ რედაქცია ჟურნალ „სირინოზისათვის“

რედაქტორი: **ლადო მაჭავარიანი.**

---

## ქუთაისის პეტრე-პავლეს

ეკლესიის სამრევლო საბჭო ამით აცხადებს, რომ 18 ივნისს დილით კვირას ზემოხსენებულ ეკლესიაზე მოხდება ფარული კენჭის ყრით არჩევა კანდიდატისა მედავითნის ადგილზე ამისათვის სთხოვს საბჭო ყველა სრულ-წლოვანთ ამ ეკლესიის მრევლთგანურჩევლათ სქესისა მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში.

გიორგი ბაზაძე.

---

## სისადე.

„მიზანსა და საკუთარ მისწრაფებას მოკლებული ცხოველებიც არ არიანო“ ამბობს მე-18 საუკუნის ფრანგი მოაზროვნე ვოლტერი. სრული ჭეშმარიტებაა, რომ თავის ინტერესის უზიარებლათ და შეუთვისებლათ არც ერთ ხალხს და ერს არ შეუძლია ეროვნული თვითარსებობა. ძველსა და ახალ ისტორიაში ვერსად ვხვდებით იმის მაგალითს, რომ რომელსამე ერს ეროვნულ სურვილის შეუსისხლხორცებლად ხეირი დაყროდეს. გვარდებოდენ ერები, დაჰკარგეს დამოუკიდებლობა იმიტომ, რომ სახელმწიფურ არსებობის პირობები ვერ შეიგნეს და ვერ დაიცვეს.

ყოველ ერს თავის ცხოვრებაში თან უნდა ახლდეს **სისადე**. საკუთარ ინდივიდუალობის გარკვეული გზა, სამართლიანი და ძლიერი ნების ყოფა.

უძლურთა დაჩაგვრა და დაშინება რომელიც თვისებაა ძლიერთა, ყოველთვის პროტესტს უნდა იწვევდეს პატარა ერში. თანამედროვე ძალთა განწყობილება პატარა ერს აიძულებს ოპორტუნისტობის გზაზე იდგეს და პოლიტიკოსობდეს.

ეს ასეა, მაგრამ ერი ვალდებულია ისე აწარმოოს თავისი საქმეები, რომ მასსავით დევნილ და უფლება აყრილ ერს არ უმტროს. ხშირათ ხდება, რომ ესა თუ ის პატარა ერი, მპყრობელ ერისგან შეწუხებული, სრულიად ივიწყებს მის მეზობელ ერის უბედურებას, და თავის თავის საშველად პატარა ერთა მჩაგვრელთა გვერდითაც კი გამოდის. ეს მეტად სახიფათო ნაბიჯია. ავსტრიაში სლოვაკები ჩეხელებს აბეზღებდენ ვენის მთავრობასთან, რომ ამით თავისუფლება მოეპოვათ, მაგრამ, როგორც ვიცით, სლოვაკებს ვენაში არაფერი დაუფასეს.

პატარა ერებს, როგორ სახელმწიფოშიც არ უნდა ცხოვრობდენ ისინი, ჰმართებთ ერთმანეთისადმი სადი განწყობილება და ძმური ურთიერთობა.

საერთო ტკივილების და საჭიროებათა თავმოსავლელათ ერებს კავშირი სჭირიათ. პატარა ერთა შეკავშირებულ ძალის ერთგვარ მოთხოვნას, დიდი სახელმწიფო ყოველთვის ანგარიშს გაუწევს.

ამ რევოლუციაში რუსეთის ერებს აუცილებლათ სჭირიათ ერთმანეთთან თანხმობა და ერთგვარ კავშირის შექმნა.

თუ ეს ასე არ მოხდა, ყველა ერი ვერ ირგებს რევოლუციის ნაყოფს და თავის ეროვნულ სამართლიან ზრახვას ვერ გაინაღდებს.

ხალხს ეროვნული მიზანი კონკრეტულად უნდა ჰქონდეს ჩამოსხმული და საყოველთაოდ გათვალისწინებული სამოქმედო გეგმაც. ავანტურის გზაზე დადგომა ხალხსაც და ერსაც სახელს უტეხს და ხიფათს არგუნებს.

თბილისელ სომეხთა გაზ. „კავკაზსკოე სლოვო“ თავს ესხმის უკრაინელთა ეროვნულ აღტყინებას, და უსამართლოთ მიაჩნია მათი მოძრაობა,

რაშია საქმე?

სომხეთი ხომ უკრაინასავით განაწამები ერია? რათ უნდა ებრძოდეს სომეხთა ბეჭდვითი ორგანო რომელიმე სხვა ერის თავისუფლებისთვის მუშაობას!

ხომ არ უდევს ამას სარჩულად ის პრინციპი, რომელიც ამბობს: „ყველა ფერი ჩემთვის და არაფერი სხვისთვისო“.

გაზ. „კავკ. სლ.“ს სჩვევია ასეთი გამოლაშქრება და შხამის ნთხევა სხვა ერთა წინააღმდეგ. იგი ეროვნულ ბრძოლაში ამტყუნებს სხვას იმ დროს, როდესაც მას საკუთარი ეროვნული საქმიანობა უკიდურესათ გაჩაღებული აქვს. ეს უსამართლობა არ არის?

„კავ. სლოვო“-ს მოჰყავს ბაქოელ სომეხ სოც.-დემ. გაზ. „ბანოვარი“-ს აზრი, რომელიც სწერს, ჩვენი ხსნა ცენტრალიზმშია და არა დეცენტრალიზმშიო, და ასეთ შენიშნას უკეთესებს: ბანოვარი ცენტრალიზმს მოითხოვს, მაგრამ რასიტყოდენ ამის შესახებ კავკასიის სოც.-დემ., რომლებიც კავკასიისთვის დეცენტრალისტურ თვითმმართველობებს მოითხოვდენ?“ საკვირველ არიან, უფალო, საქმენი ჩენნი!.....

აშკარაა, გაზეთი სხვადასხვა ერებისთვის თვითმმართველობის პრინციპს იზიარებს.

მაშ, რას ედავება იგი უკრაინას.

აქ სრული ულოღიკობაა. „ყოველ ერს აქვს საკუთარ თავისუფლებით ცხოვრების ნებაო“ ამას მპყრობელი სახელმწიფონიც კი აღიარებენ, და სამწუხაროა, როდესაც ამ ჭეშმარიტებას. *)

ჩირქს მოსცხებენ თვითონ პატარა ერები.

განვიმეორებთ, რომ მონობაში მყოფ ერებს ეჭირვებათ სადი სამეზობლო დამოკიდებულება და ეროვნულ მისწრაფების განსახორციელებლათ არა თუ ხელის შეშლა, არამედ ხელის შეწყობა და ყოველ გვარათ დახმარება: ამას მოითხოვს თითოეულ ეროვნებათა ცალცალკე ინტერესი.

მომხდარი რევოლუცია ერებს არაფერს მიანიჭებს, თუ ისინი საკუთარ ძალღონით არ შეთანხმდენ მიზან შეწონილ მოქმედების გასაჩაღებლად.

რუსეთის არა მპყრობელ ეროვნებათა კეთილ დღეოპისთვის მიუცილებელია სადი მეგობრობა—კავშირი. ეს პირობა ყველა ერმა დროზე უნდა შეიგნოს და ერთმანეთს მხარი მისცეს სამართლიან მოთხოვნილებათა განსახორციელებლად.

Dis.

---

## ნ. დურნოვო.

ხშირად გვეკითხებიან, ვინ არის ეს დურნოვო, რომ ასე თავგამოდებით იცავს საქართველოს ეკლესიასო? მართლაც, დურნოვოს გაბედული კილო, იშვიათი გულწრფელობა და ჩვენი საეკლესიო ისტორიის საფუძვლიანი ცოდნა ყველას აკვირვებს.

შეგნებულ ქართველთა წარმოდგენილებაში დურნოვო საქართველოს ეკლესიის მედგარ დარაჯათ, ისახება. რუს მწერალთა შორის ასეთი მაგალითი არა თუ იშვიათი—ერთათ ერთი შემთხვევაა. მრავალ შეკითხვათა საპასუხოთ ორიოდე სიტყვით აღვნიშნავ, ვინ არის დურ-

*) იხ. ჩეხელ პროფ, მასარიკის შრომა „პატარა ერები“

ნოვი და როგორ უნდა ვუყურებდეთ მის მოქმედებას.

საუკეთესო იდეალი კაცობრიობის არის ჭეშმარიტება. ჭეშმარიტებისადმი მისწრაფება ადამიანის ბუნების საუკეთესო თვისებაა. ჭეშმარიტების ძიებაში საუკეთესო ადამიანები უმაღლეს სიამოვნებას ჰპოებენ. ადამიანის მაღალი დანიშნულებაა პირველ ყოვლისა, ჭეშმარიტებას ემსახუროს და შემდეგ სხვა საგნებს. აი ასეთია ადამიანის მოწოდება და, თუ ცხოვრებაში დავინახეთ ისეთი მაგალითი, რომ ადამიანი მართაც ჭეშმარიტებას ყველაფერზე მაღლა აყენებს და ყოველ თავის საყვარელ და კერძოთ სათაყვანო ინტერესებს ივიწყებს და ჭეშმარიტებას ანაცვალებს, ეს გვახარებს, ეს გვიამება და რაღაც იმედს გვისახავს, რომ **ადამიანი** მართლაც **ადამიანათ** გამოდის, და ის შესაფერ სიმაღლეზე გვეჩვენება.

ერთი ასეთი მაგალითი სწორეთ ბ-ნი ნ. დურნოვო არის. მისი პიროვნება და მისი პოზიცია საქართველოს ეკლესიის საკითხში მართლაც საყურადღებოა, სწორეთ თითით საჩვენებელია.

ნ. დურნოვო არის საფუძვლიანი მცოდნე ღვთის მეტყველებისა, განსაკუთრებით საეკლესიო ისტორიისა და კანონმდებლობისა. როგორც კანონისტი დურნოვო ავტორიტეტია არა მარტო რუსეთში — მთელ მართმადიდებელ ეკლესიაში. დურნოვო გულწრფელი პატრიოტია, მიმართულებით მემარჯვენე. კერძო ცხოვრებაში იშვიათი ქველ-მოქმედი, გულკეთილი მოქალაქე და თავგამოდებული დამცველი სიმართლისა ყოველ სფეროში. აღსანიშნავია მისი უანგარო მოღვაწეობა მწერლობაში.

მემარჯვენე მიმართულების პირებზე ჩვენ ისეთი წარმოდგენა გვაქვს შედგენილი, რომ ისინი პოლიტიკურ ცხოვრებაში სამშობლოს ინტერესებს განსაკუთრებით იცავენ და აქ ხშირათ ვიწრო პატრიოტულ გრძნობას იჩენენ, რომელიც სტუქსავს მათში ისეთ მაღალ პრინციპებს, როგორიცაა ჭეშმარიტების სამსახური და სამართლიანობა. ამ პირთა შორის იშვიათ გამონაკლისს შეადგენს ბ-ნი ნ. დურნოვო. ის ძველი რეჟიმის დროსაც თამამად და გულწრფელად აღიარებდა ჭეშმარიტებას. რუსეთის საეკლესიო მთავრობას მუდამ ამხილებდა უწესო და უსამართლო მოქმედებაში. დღესაც დურნოვო გადაჭრით მოითხოვს **კანონიურის** წესით აღიარებულ იქნეს საქართველოს ეკლესიის ტერიტორიული ავტოკეფალია, საქართველოს ეკლესიას დაუბრუნდეს თავისი ქონება: საყდრები, მონასტრები, მამულები, ნივთები და სხვა. ამას მოითხოვს ბ-ნი დურნოვო და ჩვენში ბევრი გაკვირვებით გვეკითხება, რა ალაპარაკებს ამნაირათო? ამას ალაპარაკებს **მეცნიერის მოვალეობა**, **ჭეშმარიტების სიყვარული**, **სიმართლის პატივისცემა** და ამაზე დამყარებული **სამართლიანობა**. მართალია ბ-ნი დურნოვო მემარჯვენე რუსია, მაგრამ ის **ჯერ სამართლიანი ადამიანია**, **ჯერ მიუდგომელი მეცნიერია**, **ჯერ ჭეშმარიტების უანგარო მოსამსახურეა** და შემდეგ მემარჯვენე პატრიოტია. აი ასეთი უნდა იყოს ყოველი ადამიანი და მაშინ აღარ იქნება ბოროტება ქვეყანაზე.

დურნოვოსთანა კაცები ცოტაა ქვეყანაზე და მეტადრე რუსეთში.

მეტათ სამწუხაროა, რომ ასეთი ადამიანების ხმა სახელმწიფო ცხოვრების მეთაურებს არ ესმისთ და ამის გამო ისეთ შეცდომებს სჩადიან რომლის გასწორება შემდეგ საძნელო ხდება, და მთელი საუკუნის განმავლობაში ხალხი იტანჯება ხოლმე.

ძველი მთავრობის სიბრმავე იქამდი მივიდა, რომ დურნოვოსთანა გულწრფელი და უანგარო მეცნიერის აზრს გვერდს უვლიდა და ბიწიერებით და დამნაშავობით ცნობილი ადამიანების, როგორიც იყვნენ ვოსტორგოვი და ძმანი მისნი, აზრებით ხელმძღვანელობდა.

აი სწორეთ ასეთმა სიბრმავემ ძველი მთავრობა დამხობის დღემდი მიიყვანა.

რა გზას დაადგება ახალი მთავრობა, დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, ძველი მთავრობის კვალზე რომ არ ივლის, ეს უკვე ცხადია, მაგრამ სახიფათო შეცდომიდან რომ თავი განითავისუფლოს, ამის იმედი ჯერ არა გვაქვს. ჩვენი ეკლესიის საკითხის გარშემო ახალ მთავრობას დიდი რყევა ემჩნევა და ვაი თუ ბოროტგამზრახველთა მოქმედებამ ახალი მთავრობაც შეაცდინოს.

ერთად ერთი გზა საქართველოს ეკლესიის საკითხის სწორად გადასაწყვეტი არის დურნოვოს მოთხოვნილების ასრულება.

**ტრიფონ ჯაფარიძე.**

## ეროვნული საკითხი.

ნოე ჟორდანიას მოხსენაბაში ეროვნული საკითხის შესახებ, რაც მან კავკასიის მუშათა და გლეხთა დელეგატების ყრილობაზე წაიკითხა, ასეთი სიტყვები და აზრია ერთ ალაგს:

პროლეტარიატი დაინტერესებულია მხოლოდ კულტურულ განვითარებისათვის ხელსაყრელ პირობების და არა სახელმწიფოს ძლიერ მმართველობის შექმნაში.

აქედან თავის თავად ცხადია შემდეგი: თუ პროლეტარიატის კულტურული განვითარება უზრუნველყოფილი იქნა დღევანდელს ბურჟუაზიის ხანაში, პროლეტარიატი ამით სრულებით კმაყოფილდება და სახელმწიფოს მმართველობის შექმნა მას არა სურს.

მომხსენებლის აზრით ასეთი სურვილი მხოლოდ ბურჟუაზიას ეკუთვნის.

სინამდვილე ამგვარ შეხედულებას არა თუ არ ადასტურებს, ძირიან-ფესვიანად უარჰყოფს. მაგალითისათვის ბევრი ძებნა არ დაგვჭირდება:

ფინეთის სოციალ-დემოკრატია ფინეთის სრულ დამოუკიდებლობას მოითხოვს.

ფინეთსა აქვს ეროვნულ-ტერიტორიალური ავტონომია. რაკი რუსეთში დემოკრატიული რესპუბლიკა დამყარდება, ფინეთის ავტონომიას აღარავითარი საფრთხე აღარ მოელის; მაშასადამე ფინეთის პროლეტარიატის კულტურული განვითარება უზრუნველყოფილი იქნება.

მაშასადამე ფინეთის პროლეტარიატი უნდა დაკმაყოფილდეს და სახელმწიფოს ძლიერი მმართველობის შექმნა არ უნდა წამოაყენოს, რადგანაც ეს ბურჟუაზიის ლოზუნგია.

ნამდვილად კი ფინეთის სოციალდემოკრატების ლიდერი ტოკოი ისე არა მჯელობს, როგორც ნოე, და აცხადებს: თავისუფალი ერი დამოუკიდებელი ერია, ფინეთს სრული დამოუკიდებლობა უნდა მიენიჭოსო.

ნოე გვიმტკიცებს: ეროვნული საკითხი მარტო კულტურის საკითხიაო.

ტოკოი-კი აცხადებს: ეროვნული საკითხი ერის დამოუკიდებლობის, ერის სახელმწიფოებრივათ მოწყობის საკითხიაო.

ნოე გვიმტკიცებს: პროლეტარიატს მხოლოდ ის უნდა, რომ მისი კულტურული განვითარება უზრუნველყოფილი იყოს და სახელმწიფოებრივი მმართველობის შექმნა მისთვის საჭირო და სასურველი არ არისო.

ტოკოი-კი აცხადებს: ფინეთის პროლეტარიატს და სოციალ-დემოკრატიას ის უნდა, რომ ფინეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოს შეადგენდესო.

ქართველი სოციალ-დემოკრატია ამტკიცებს: საქართველოს ეროვნული თვითმართველობა რაც შეიძლება შეკვეცილი, ხელ-ფეხ შებორკილი დამონებული უნდა იყოს, რომ სახელმწიფოებრივობის ნიშანწყალიც არ იყოს შიგ. ის მუდამ თვალებში უნდა მისჩერებოდეს უმაღლეს მთავრობას და იმის ბრძანებას ასრულებდესო.

ფინეთის სოციალ-დემოკრატია კი ამტკიცებს: ჩვენ არა თუ შეკვეცილი ეროვნულ თვითმართველობა არ გვაკმაყოფილებს არც სრული ეროვნული თვითმართველობა სახელმწიფოებრივის მმართველობით, — ჩვენთვის საჭიროა სრული დამოუკიდებლობა ფინეთი ავტონომიას კი არ უნდა წარმოადგენდეს სახელმწიფოს ფუნქციებით, არამედ დამოუკიდებელ სახელმწიფოსო.

აქედან შეგვიძლია დავასკვნათ შემდეგი: ის აზრი, თითქოს ეროვნული საკითხი კულტურის საკითხი იყოს მხოლოდ, სრულებით უსაფუძვლოა.

ის აზრი, თითქოს პროლეტარიატი არ იყოს დაინტერესებული სახელმწიფოს ძლიერ მმართველობის შექმნაში, სიმართლეს მოკლებულია.

მუშათა და გლეხთა დადგენილებაში ის აზრია გატარებული, რომ ეროვნული, თვითმართველობა კულტურულ-ეკონომიურ სფეროში სრულიად დამოუკიდებლად მოქმედობს, მაგრამ თავისი სახელმწიფოებრივი უფლებით კი არა, არამედ სახელმწიფოს დავალებით.

უბრალოთ რომ ვთქვათ აი ეს რას ნიშნავს:

სახელმწიფო ე. ი. რუსეთი მისცემს ეროვნულ თვითმართველობას კანონებს და ეს თვითმართველობა ამ კანონების მიხედვით მოაწყობს თავის კულტურულ-ეკონომიურ ცხოვრებას.

რისი თქმა უნდა ამით დადგენილების ავტორს?

იმისი, რომ სრული სახელმწიფოებრივი უფლება ცენტრს უნდა ეპყრას ხელთ, ეროვნული თვითმმართველობა კი მისი ბრძანების მიხედვით უნდა აწყობდეს თავის კულტურულ-ეკონომიურ ცხოვრებას.

სახელმწიფოს მცნებაში მარტო კანონმდებლობითი უფლება კი არ შედის, არამედ აღმასრულებელი უფლებაც. სახელმწიფო ადგენს და ეს დადგენილება სისრულეში მოჰყავს. უფლება და ძალა ერთი მეორისაგან განუყოფელია.

ეროვნულ თვითმართველობას არა აქვს საკანონმდებლო უფლება, მაგრამ მასა აქვს აღმასრულებელი უფლება. მან სისრულეში უნდა მოიყვანოს, მან შესაფერი ორგანოების წყალობით უნდა განახორციელოს ის, რისი უფლებაც სახელმწიფოსაგან ექნება მიცემული. ასეთია აზრი დადგენილებისა.

აი თვით ეს განხორციელების უფლება თვით ეს აღმასრულებელი ორგანოები უკვე ატარებენ თავის არსებაში ნაწილს სახელმწიფოებრივობისას.

ამიტომ, თუ არ გინდათ სახელმწიფოებრიობა. უნდა უარჰყოთ ეროვნული თვითმართველობაც,

ხოლო თუ ღებულობთ ეროვნულ თვითმართველობას, სახელმწიფოებრივობის ნაწილს თუნდა სულ მცირესად — ვერავითარი საშუალებით ვერ ამოშლით შიგ.

ეს კი გამოვა ეროვნულ ტერიტორიალური ავტონომია.

ამ ავტონომიას დიდი უფლებანი ექნება თუ მცირე ის მაინც ავტონომია იქნება და მაინც.

ამ გვარად მუშათა და გლეხთა დელეგატებმა უეჭველად მიიღეს ავტონომია.

თუმცა, როგორც „ალიონში“ აღნიშნავს ნ. საქირელი, უფლებები ამგვარი თვითმართველობისა მეტათ შეკვეცილი და შეზღუდულია, მაგრამ მიუხედავათ ამისა, ეს ნაბიჯი მუშებისა და გლეხთა დელეგატებისა დიდ ისტორიულ ნაბიჯათ უნდა ჩაითვალოს.

თუმცა ამ ეროვნულ-ტერიტორიალურ ავტონომიას ისეთი მუხრუჭები შემოუჭირეს და ისე დაამახინჯეს, რომ მისი გამოცნობა ადვილი არ არის და ბევრი ხვრელია აქ დატოვებული თავის დასამალავათ, მაგრამ მიუხედავათ ამისა ჩინეთის კედელი მაინც დანგრეულია; რაკი ერთ ხელ შევიდა თვითმართველობის საკითხში ეროვნულ-ტერიტორიალური პრინციპი ის უთუოდ გაიკაფავს გზას და მივა თავის ლოღიკურ დასკვნამდე.

ქართველი სოციალდემოკრატია აღიარებს საქართველოს სრულ ეროვნულ-ტერიტორიალურ ავტონომიას.

ეს დამარცხება კი არ იქნება და სათაკილო. როგორც სოციალდემოკრატსა ჰგონია, არამედ დიდი გამარჯვება დიდი სახელი. (თეატ. და ცხოვრება).

**ივ. გომართელი.**

## ნ. ჟორდანიას მოხსენება ეროვნულ საკითხზე.

ნოე ჟორდანიამ გლეხთა ყრილობაზე ეროვნულ საკითხის შესახებ სხვათა შორის შემდეგი სთქვა:

ამიერ კავკასიაში შესაძლებელია მოეწყოს ორნაირი ტიპის თვითმართველობა 1. ტერიტორიალურ ეროვნული თვითმართველობა, 2) თვითმართველობა საერთო, მაგრამ ყოველ ერისთვის კულტურული ავტონომიით.

პროლეტარიატი დაინტერესებულია, რომ არც ერთი ერი, არც ერთი ნაწილი ერისა არ იყოს მოკლებული თავისუფალ კულტურულ განვითარებას. სწავლა-განათლება ეროვნულ ენაზე უნდა იყოს. ამ დებულებას უნდა დაუმორჩილოს ყველამ თავისი ეროვნული მოთხოვნილებანი.

არის მრავალი პარტია, რუსეთში ფედერატიულ რესპუბლიკის დაარსებას რომ მოითხოვენ.

ფედერაცია ნიშნავს ისეთნაირს კავშირს, ისეთნაირ წესწყობილებას, როდესაც სხვადასხვა კუთხეები შეკავშირებული არიან ერთი მეორესთან.

ეს შეკავშირება კი ნაკარნახევია ისტორიული პირობებით. ჩვენ ვიცით რომ ფედერაცია არსებობს ამერიკაში, შვეიცარიაში ავსტრალიაში და სხვაგან. ეს ფედერაციები დაარსდენ ასე: თავდაპირველად დამოუკიდებელი პაწია სახელმწიფონი იყვნენ. შემდეგ კი აუცილებელი გახდა მათი ერთი-მეორესთან შტატებათ შეკავშირება და დაარსდა ფედერაცია, ეს მისწრაფება არის მისწრაფება ცენტრალიზმისკენ. რუსეთში კი ასეთი პირობები არ არის. რუსეთი ერთი სახელმწიფოა. აქ უმრავლესობა რუსობაა. მაშასადამე რუსეთში შესაკავშირებელ ერთეულთა თანასწორობა არ იქნება. 2—3 გუბერნია ხომ ვერ უკარნახებს თავის ნებას დედა-მიწის მეექვსედ ნაწილს. ჩვენში არ არის ნიადაგი ფედერაციისა, ამიტომ არც ფედერაციის პრინციპი უნდა იყოს წამოყენებული. ფედარატიული მოწყობა დღეს რუსეთში მრავალ სახელმწიფოთა მოწყობას უდრის. მაგ. უნდა მოეწყოს სახელმწიფოები საქართველოსი, სომხეთისა, რუსეთისა და ხევმისისა. რუსეთში შესაძლებელია მხოლოდ ერთი რამ: — ერთ რესპუბლიკაში უნდა შედიოდეს რამდენიმე ეროვნული თვითმართველობითი ოლქები. ამ ოლქებში ადგილობრივ საკითხების გადასაწყვეტად კანონები ადგილობრივვე გამოიცემა.

საერთო საკითხების გადაწყვეტაში კი ყველანი ცენტრს დაემორჩილებიან.

თქვენ შემეკითხებით და კომპეტენციებით უნდა იყვნენ აღჭურვილნი ეს ადგილობრივი თვითმართველობანი და რა და რა მოვალეობა უნდა შეასრულონ?

კომპეტენციები ადგილობრივი თვითმართველობისა იქნება შემდეგი:

1) ცენტრის მიერ დადგენილ კანონების განხორციელება.

2) ყველა ადგილობრივი კულტურული საქმეები, მეურნეობის განვითარების საქმე, ვაჭრობა-მრეწველობა, ადგილობრივ სასამართლო, ადმინისტრაცია, მუნიციპალების ზედამხედველობა, საუფლისწულო, სამონასტრო და საკაბინეთო მიწების კონფისკაცია, მუნიციპალიზაციის საქმე, უფლება საერთო და ადგილობრივი კანონების გამოცემისა.

ერთი სიტყვით, ადგილობრივი საკითხები ადგილობრივე სწყდება და ცენტრის მიერ გამოცემული კანონები ადგილობრივ მართველობას გადაეცემა ცხოვრებაში გასატარებლად.

# რევოლუციის ამბები

(პ. დ. ს.)

## დეპეშები

**პოლკების ფრონტზე გაგზავნა.**

**თბილისი.** ივნისის 11. სამხედრო მინისტრის განკარგულებით ფრონტზე პოლკების გავზავნის შესახებ პოლკების კომიტეტებმა მოაწყვეს კენჭის ყრა, იმის გამოსარკვევად, თუ რომელი პოლკები გაგზავნილიყო ფრონტზე. რადგან ამით ვერ მოწესრიგდა საქმე, კითხვის გადაჭრა მიენდო ჯარისკაცთა და ოფიც. საბჭ.

**აღმასრულებელ კომიტეტის ავტორიტეტის დაკარგვა.**

**ცარიცინი.** ივნისის 11. ჩამოვიდენ ყაზანის სამხედრო ოლქის წარმომადგენლები და სარატოვის ჯარისკაცთა და მუშათა საბჭოს დეპუტატები, რათა გამოარკვიონ ქალაქში გაუგებრობით შექმნილი მდგომარეობა. აღმასრულებელმა კომიტეტმა ავტორიტეტი დაჰკარგა. უფლება გადავიდა ჯარისკაცთა ხელში, რომელნიც დიდს უდისციპლინობას იჩენენ. მეცადინეობა აღარ არის. ჯარისკაცები ესწრებიან მიტინგებს. ერთს მიტინგზე გადასწყვიტეს კერძო მესაკუთრეობის საქმეში ჩარევა.

**ფრონტზე წასვლის შესახებ უარის განცხადება.**

**ტამბოვი.** ივნისის 12. 204 სათადარიგო პოლკმა უარი განაცხადა ფრონტზე წასვლის შესახებ.

**უწესოება.**

**კიშინევი.** ივნისის 11 ფრონტზე მიმავალი ჯარისკაცები ანადგურებდენ სარდაფებს, სძარცვავდენ მცხოვრებთ. მათ შეუერთდა ოდესიდან ჩამოსული ჯარისკაცები. ყაზახთა რაზმის ნაწილმა აღადგინა მშვიდობიანობა. დაატუსაღეს 30 ჯარისკაცი. დანარჩენები გაიქცენ. ძალდატანების გამო მოკვდა ორი ქალი.

**სამხედრო წრის დადგენილება.**

**ნოვოჩერკასკი.** ივნისის 11. სამხედრო წრემ დაადგინა, უბრძანოს ყაზახთა პოლკებს, რომ უსიტყვოდ დაემორჩილონ ბრძანებას ფრონტზე წასვლის შესახებ. ამ დღეებში დააფიცებენ პირველსა და მეოთხე ყაზახთა პოლკებსა და გაგზავნიან ფრონტზე.

**მშვიდობიანობა და სიწყნარე.**

**სამარა.** ივნისის 10 როგორც გლეხთა საბჭო იტყობინება მთელს გუბერნიაში მშვიდობიანობა და სიწყნარეა.

**არქიეპისკოპოსის სერგის სიტყვა.**

**პეტროგრადი.** ივნისის 12. სინოდის სხდომის დაწყებამდის სიტყვა წარმოსთქვა არქი ეპისკოპოსმა სერგიმ და გამოსთქვა. იმედი, რომ საბჭოს მუშაობის გათავების შემდეგ მოწვეულ იქნება სრულიად რუსეთის სასულიერო წოდებათ კრებული. კრებულის მომწვევი საბჭო გაანაწილებს კითხვებს, რომელიც წარედგინება კრებულს განსახილველადო.

**დანიშვნა**

**პეტროგრადი.** ივნისის. 12. დაინიშნენ: გენერალ მაიორი რომანოვსკი პირველ გენერალ კვარტირმეისტრად პოლკოვნიკი ილიუშევსკი უმაღლეს მთავარსარდალთან მეორე გენერალ კვარტირმეისტრის თანამდებობის აღმასრულებლად.

**დროებითი მთავრობის დადგენილება.**

**პეტროგრადი.** ივნისის 12. დროებითმა მთავრობამ დაადგინა: დამფუძნებელ კრების მოსაწვევად დანიშნულ განსაკუთრებულ თათბირში მოიწვიოს სართების წარმომადგენლად შოჰაევი და საქართველოს პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენელ წერეთლის მოადგილედ ლორთქიფანიძე.

**გაზეთების ცნობის გამო**

პეტროგრადი. ივნისის 12. გაზეთებში გავრცელებული ცნობა, თითქოს სამხედრო მინისტრ კერენსკის ჯარის სარდლებისათვის ებრძანებინოს, კვირაში ორჯერ იმ პირთა სია წარმოადგინონ, რომელნიც თანახმა არ არიან იომონო სიმართლეს მოკლებულია. ივნისის 8 გაეგზავნა ჯარის სარდლებს დეპეშა შემდეგი შინაარსისა: მოსკოვისა, ომსკისა. ირკუტსკისა და ხაბაროვსკის ჯარის მთავარსარდლებს: გიბძანებთ კვირაში ორჯერ ორშაბათობითა და ხუთშაბათობით მაცნობოთ საქმის ვითარებანი ჯარის შესახებ.

კერენსკი.

**ჯარის კაცთა მოთხოვნილება.**

ტამბოვი. ივნისის 11. სათადარიგო პოლკის ჯარისკაცებმა, რომელნიც გამზადებული იყვნენ ფრონტზე წასასვლელად მოითხოვეს ივნისის 20 მდის გაუშვან შინ. იმშემთხვევაში, თუ მათი მოთხოვნილება არ დააკმაყოფილეს, ისინი ძალით შეისრულებენ სურვილს.

**უწესოება**

მინსკი. ივნისის 11· ჯარის კაცებმა, რომელიც ფრონტზე მიემგზავრებოდენ, მოახდინეს უწესოება. რათა განეთავისუფლებიათ დატუსაღებული თავიანთი მთვრალი ამხანაგი, ისინი მისცვივდენ ყარაულებს, რომლებმაც სროლა აუტეხეს უწესოების ჩამდენ ჯარის კაცებს. ამით გაჯავრებულმა ჯარის კაცებმა მოინდომეს კამენდანტის დატუსაღება. ქალაქიდან გამოიყვანეს ჯარი, რომელმაც ასტეხა ჰაერში სროლა, რამაც დაამშვიდა გააფრთებული ჯარის კაცები. ჯარის კაცები მოათავსეს მატარებელში და გაგზავნეს.

**პეტროგრადის გაზეთები ბოლშევიკების შესახებ.**

პეტროგრადი. 12 ივნისი. პეტროგრადის ყველა გაზეთები გარდა „პრავდისა“ ჰგმობენ ბოლშევიკების გამოსვლებს, რომელსაც ახასიათებენ, როგორც რევოლუციისთვის ზურგიდან მახვილის ჩამცემთ. მოღალატეთ და გამცემთ. „დენი“ სწერს: მოღალატეთ და გამცემთ არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ რევოლუციისათვის მებრძოლ გმირებთან. მათ ბოიკოტი უნდ. გამოეცხადოს“. „ედინსტვო“ სწერს: „პროვოკატორის გარჩევა ლენინისაგან მეტად ძნელია. მაქსიმალიზმი საფრთხეს გვიმზადებს. საჭიროა, ფხიზლად ვიყოთო“.

**მუშათა და ჯარისკაცთა დეპუთატების საბჭოების ყრილობა.**

პეტროგრადი. 8 ივნისი. ამ აზრის მიხედვით მეტი წილი ჩვენგანი პასუხისმგებელია. (მქუხარე ტაში). განძრახული გვქონდა ულტიმატუმის წარდგენა მოკავშირეთათვის. მაგრამ, ვგრძნობთ, ულტიმატუმი განხეთქილებამდის მიგვიყვანს, რაც რევოლიუციას უიასამარებს. ამაზე პასუხს აგებს რევოლიუციონერი დემოკრატია. მეტი პასუხისმგებლობა აძევთ

მათ, ვინც ასეთ ავანტიურისტულ ნაბიჯებს გვიკარნახებს. (მქუხარე ტაში) ასევე უნდა ითქვას შინაგან პოლიტიკის შესახებ. გვირჩევენ რა რამდენიმე ათეულ კაპიტალისტების შეპყრობას და მთავრობის ძალის საბჭოების ხელში გადაცემას, გვაძლევენ იმის გარანტიას, მაგალითად თუნდა ლენინი, რომ ბოლშევიკების მთავრობა დღეს მთელ რუსეთისაგან იქნება მიღებული? (მქუხარე ტაში).

გლეხთა ორგანიზაციებმა, ჯარმა და მომუშავე კლასმა გლეხთა დეპუტატების საბჭოებში და ფრონტის ყრილობაზე კი გადაჭრით განაცხადეს, რომ დღეს სამშობლოს ყველა ძალების გაერთიანება სამოქმედოთ მხოლოდ კოალიციონურ მთავრობას შეუძლიანო, (მქუხ. ტაში). როგორ შეიძლება, პასუხისმგებლად ჩავთვალოთ ის პირნი, რომელნიც სიფრთხილით არ ეპყრობიან რევოლუციას. რევოლუცია — ალყა შემორტყმული სიმაგრეა ომი, სიმშილის მუქარა და დაშლილი საფინანსო საქმეები მძლავრად ეგეთქებიან მის კედლებს. მაგრამ იგი მაგარია თავის სიმარტოვით და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ რევოლუცია დასძლევს ყველა დაბრკოლებებს. ხოლო თუ ამ სიმაგრის კედლებს შიგ მყოფთაც დაუწყეს ნგრევა, მაშინ კი აღარ უნდა გვიხაროდეს რა, რადგან აუცილებრივ სამოქალაქო ომში ჩავებმებით. აქ ბევრს ლაპარაკობდნენ კონტრ-რევოლუციის წინაამდეგ საბრძოლველად, მაგრამ ის კი, ავიწყდებოდათ, რომ კონტრ-რევოლუციას სამოქალაქო ომი შეგვამთხვევს.

როდესაც ჩვენ ვამბობთ: „შევქმნათ ისეთი დროებითი მთავრობა, რომ მან მხარის ცოცხალ ძალების საბრძოლველად გაერთიანება შესძლოსო, ჩვენ პასუხს ვაგებთ არამთუ ამ კეთილ განზრახვებზე არამედ მათ შედეგებზე. მე არ ვიცი, შევძლებთ თუ არა ყველა სიძნელის დაძლევას (ხმები „ჩვენც დაგეხმარებით“). ვიცი მეგობრებო, რომ თქვენ მომეხმარებით. ერთად, ან სიკვდილი და ან გამარჯვება (მქუხარე ტაში) დღის კრების თავმჯდომარემ ჩხეიძემ აცნობა კრებას, რომ მოასვენეს მე 2-რე სათათბიროს სოც. დემ. ფრაქციის წევრის ბელოუსოვის გვამი. იგი ციმბირში ყოფნის შემდეგ ამერიკაში გარდაიცვალაო. კრებამ ფეხზედ ადგომით პატივისცა განსვენებულს და დაადგინა საგანგებო დელეგაციით მიაცილოს განსვენებული სამარის კარს.

(შემდეგი იქნება).

## უ ც ხ ო ე თ ი.

პ. დ. ს.

დ ე პ ე შ ე ბ ი.

რუსეთის ახალი ელჩი.

**სტოკჰოლმი.** ივნისის 10. რუსეთის ახალი ელჩი გამოეცხადა მეფეს და გადასცა რწმუნების საბუთები.

აფეთქება.

**ნიუ-იორკი.** ივნისის 11. ნაბანის სიმაგრეში ტყვია-წამლის საწყობი აფეთქდა. მოკვდა ერთი კაცი, დაიჭრა რამოდენიმე. აფეთქების მიზეზათ ასახელებენ, რომ ტყვიაწამლის საწყობს ქვეშიდან შედებული ჰქონდა ყუმბარა.

თავისუფლების სესხი

**ვაშინგტონი.** ივნისის 10. თავისუფლების სესხზე ხელის მოწერა აღწევს სამ მილიონ დოლარამდე.

რუსეთის ელჩის სიტყვა.

**ვაშინგტონი.** ივნისის 10. რუსეთის ელჩმა ბახმეტიევმა სიტყვა წარმოსთქვა ამერიკის კონგრესზე. და განაცხადა, რომ რუსის ხალხი სეპარატიული ზავის წინააღმდეგიაო. ელჩის სიტყვას აღტაცებით მიეგებენ. ბახმეტიევმა განმარტა რუსეთის ძველი მთავრობის პოლიტიკა და დასძინა: რუსის ხალხი მიისწრაფვის დაამყაროს დემოკრატიული წესწყობილებაო. ახალს მთავრობას სრულს ნდობას უცხადებენო. მთავრობამ გამოიჩინა მართვა-გამგეობის უნარი გლეხთა და სხვა დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა რევოლუციას ხელი შეუწყვესო.

რუსეთის ახალი ელჩის ჩამოსვლა.

**თავრიზი.** ივნისის 11. ჩამოვიდა რუსეთის ახალი ელჩი. რუსების ახალშენი სატახტო ქალაქში აღტაცებით მიეგება რუსეთის ელჩს. 100000 მანათამდე მოაწერეს. ხელი თავისუფლების სესხზე.

დელეგატების დაბრუნება.

**კოპენჰაგენი.** ივნისის 12. დაბრუნდა ენის ვაჭრობა-მრეწველობის დელეგაცია, რომელსაც მოლაპარაკება ჰქონდა საფრანგეთისა, დიდი-ბრიტანეთისა და გერმანეთის მთავრობებთან, მოლაპარაკება სასურველად დამთავრდა.

ვარშავის უნივერსიტეტების დახურვა.

**კოპენჰაგენი.** რამდენიმე კვირა იქნება, რაც ორივე უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლე ახალგაზრდები წინაამდეგობას უწევს საბჭოს დადგენილებათ. ეს წინააღმდეგობა გამოწვეულია მით, რომ უარს ამბობენ ლექციებისთვის ფასის გადახდაზე. ამის გამო ვარშავის გენერალ-გუბერნატორის ბეზელერის ბრძანებით ორივე უმაღლესის სასწავლებელი დაიხურა.

ამერიკელთა მოწოდება რუსეთისადმი.

**ნიუ-იორკი.** ივნისის 10. (გაგრძელება) საკვირველი არ არის, რომ ლოზუნგი: ზავი უანექსიო და უკონტრიბუციო მეტად ესიამოვნება გერმანელს. გერმანელთა აგენტები ყველა ქვეყნებში ასეთს ზავს ქადაგებდნენ. მათ კარგად იციან, რომ ასეთი ზავი ხელახლად გამოუჭედდა რუსეთს იმ მძიმე ხუნდებს, რომელიც რევოლუციამ ჩამოაშორა. დემოკრატიასთან ძმურ კავშირის მქონე ამერიკელები ყველა ლონისძიებას იხმარებენ ასეთ ზავის საწინააღმდეგოდ. თავისუფალ დემოკრატიის ერმა იცის როგორ უნდა თავის გაწირვა, და არა უსამართლო და ჩირქის მომცხები ზავის შეკვრა. რუსის ძლევამოსილ ჯარმა დაგვიმტკიცა, რომ იგი, საომარ იარაღით უზრუნველყოფილი, ავტოკრატიულ მილიტარიზმის ჯარზე გაცილებით მაღლა სდგას. ეხლა ეს ძლევამოსილი ჯარი სამშობლოდან მტრის გასარეკად განმზადებულა, იმედია ჩვენც ჩავგწერენ რუსეთის ისტორიის ბრწყინვალე ფურცლებზე, როს ორ მილიონს თუ მეტს ჯარსაც მივაშველებთ. ჩვენც ვიბრძვით თქვენთან მშვიდობიანობის მოსაპოებლად. გამარჯვება უკვე სჩანს ჩვენ წინ ბედნიერების, სიმართლისა დი პატარა ერთა თვითგამორკვევის გზა გვიდევს.

სამხრეთის ძმების ხმა და აგრეთვე ბელგეთ საფრანგეთი მოგვაგონებს, სიმართლე მოითხოვს, რომ გერმანეთს თავისი მიუწყოთ. ვიდრე გერმანეთის ავტოკრატია არ შეიმუსრება ხალხს თვით-გამორკვევის თავისუფლებას ვერავინ მოუპოვებს.

## მსოფლიო ომი.

პ. დ. ს.

**დეპეშები.**

**ლონდონი.** ივნისის 11. ოფიციალი. სკარპის სამხრეთით გუშინ სალამოთი ჩვენ რამდენიმე გერმანელი დავატყვევეთ. კრუაზელ-შესინის უბანში გერმანელთა არტილერია ენერგიულად ჰმოქმედობდა,

**ლონდონი.** ივნისის 11. ოფიციალი. არმანტიერის სამხრეთით შეტაკების დროს პორტუგალიელმა ჯარმა დაატყვევა გერმანელთა პატრული. ფრონტის დანარჩენ ადგილებში არაფერი შესანიშნავი არ მომხდარა გარდა უმნიშვნელო საარტილერიო ბრძოლისა.

ბელგეთის ასპარეზი.

ოფიციალი. დიკსმიუდესთან, ჰაიდგელ და სტეენსტრატე-გეტზასის მიმართულებით საკმაოთ ცხარე საარტილერიო ბრძოლაა.

აღმოსავლეთის ასპარეზი.

ივნისის 9-ს ბრიტანეთის და სერბეთის ფრონტებზე მოწინავე რაზმების შეტაკება იყო. ჩერნას რაიონში არტილერია ენერგიულადა ჰმოქმედობდა.

**პარიზი.** ივნისის 11. ოფიციალი. იურტებიზ- ვრავნის უბანში, ჟივანკურას სამხრეთით საკმაოდ ცხარე საარტილერიო ბრძოლაა. ჩვენმა ბატარეიამ მტრის არტილერია ჩააჩუმა. გერმანელთა საიერიშო ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა, რადგაგაც ჩვენი არტილერია მათ შეუჩერებლათ უშენდა ყუმბარას. შამპანში, კორნილიეს მთის ჩრდილო აღმოსავლეთით ჩვენ მტრის იერიში მოვიგერიეთ. ობერივთან ჩვენ გერმანელებს თავს დავესხით და რამდენიმე ჯარის კაცი დავატყვევეთ.

## ახალი ამბავი

✦ ხელის მომწერთა საგულისხმოთ. ,,ჩვენი ქვეყნი''ს კანტორა ხელის მომწერთა საყურადღებოთ აცხადებს, რომ ხელმოწერის ფულს ნუ გადასცემენ გაზეთის დამტარებლებს, და პირდაპირ წარმოადგინონ გაზეთის კანტორაში. კანტორა აგრეთვე აცხადებს, რომ ერთი დამტარებელი ყალბი კვიტანციებით დადის და ფულს ართმევს ხელის მომწერთ.

✦ პარკის ბაზარი უკვე მოეწყო ქუთ. სააბრეშუმო პუნქტის უფროსის ბ-ნი. ქუთათელაძის ცნობით ქუთ. გუბერნიაში პარკის ბაზარი უკვე მოეწყო. ფასები პარკისა შემდეგია: სამტრედიაში ხონში და ქუთაისში 45-მან 60 მანეთმდე აღწევს.

✦ უწესოება. ბოლო დროს ქუთაისში მეტად გახშირდა ჩხუბი და აყალმაყალი. კერძო პირების გარდა ჯარისკაცებიც არღვევენ სიწყნარეს. ქუთაისის გარნიზონის ერთ ნაწილს უთანხმოება მოსდის ახლად შემდგარ მილიციასთან და მოითხლვს მის გადაყენებას და მათ მაგივრად დაჭრილ-ნამსახურ ჯარისკაცების დანიშვნას. ამ ნიადაგზე 13 ივნისს სალამოთი ჯარისკაცთა და მილიციელთა შორის დიდი შეხლა-შემოხლა მოხდა, რამაც საშიში ხასიათი მიიღო. ჯარისკაცებმა ხელით შეურაცხყოფა მიაყენეს წყლის გაღმა უბნის კომისარს ჯინჭარაძეს. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს განკარგულებით წესრიგის დასაცავათ პატრულები გამოიყვანეს, და ამხედრებულ ჯარისკაცთ მოწოდებით მიმართეს.

— აღწერა. 25 ივნისს მოხდება ქუთ. გუბერნიის სასოფლო სამეურნეო აღწერის თათბირი. ამ დღეს რეგისტრატორები გაინაწილებენ თავთავის რაიონებს.

— მგოსანი ი. გრიშაშვილი. გუშინ ქუთაისიდან თბილისში გაემგზავრა მგოსანი ი. გრიშაშვილი.

დღეს სალამოს 6 საათზე, კომერციულ სასწავლებელში დანიშნულია ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის მასწავლებელთა მეორე კრება.

✦ მომრიგებელ კამერის კრება. პარასკევს, 16 ივნისს, ქუთაისის საურთიერთო ნდობის ბანკის შენობაში დანიშნულია ქუთაისის მომრიგებელ კამერის ჩვეულებრივი კრება. ვთხოვთ მომრიგებელ კრების წევრებს, აუცილებლათ დაესწრონ კრებას ან და თავის ადგილზე გაგზავნონ თავიანთ კანდიდატები.

ამასთანავე პრეზიდიუმი იმ წევრთა საყურადღებოთ აცხადებს, რომლებიც სისტემატიურათ კრებას არ ესწრებიან, რომ თუ მათი ან მათი კანდიდატების მოუსვლელობით, კიდევ არ შესდგა კამერის კრება, ყოველივე პასუხისმგებლობა საქმეების შეფერხებაში და მოსალოდნელ საქმის მიმართულებაში ეკისრებათ თვით კრების დაუდევარ წევრებს.

✦ განცხადება. საქართველოს ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის ქუთაისის კომიტეტის თავმჯდომარემ, ვასილ წერეთელმა ქუთ. აღმ. კომიტეტში განცხადება შეიტანა, რომ ლეჩხუმში დაატუსაღეს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის რწმუნებული, გრ. ჩიქოვანი, რომელიც ხალხს უხსნიდა ეროვნ. დემ. პარტიის მრწამსს. ეროვნ. პარტ. ქუთაისის კომიტეტი ქუთ. აღმ. კომიტეტს სთხოვს დაუყონებლივ გათავისუფლებულ იქნას გრ. ჩიქოვანი და მის დატუსაღების მეთაურნი პასუხისგებაში იქმნენ მიცემულნი.

✦ სასურსათო საქმე 12 ივნისს შესდგა ქუ. საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის თათბირი. თათბირმა დაადგინა, სხვადასხვა საჭირო საგნების თანასწორ გასანაწილებლად, დააარსოს თავისი სავაჭრო. ამ მიზნით იმ ვაჭრებს, რომელთაც პარტიობით აქვთ მიღებული ფართლეულობა, საქონელი ნასყიდობის ფასით ჩამოერთმევა და გადაეცემა საზოგადო სავაჭროს. ამ საქმის მოწესრიგებაში მონაწილეობას მიიღებენ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების და აგრეთვე ვაჭართა წარმომადგენლები. თათბირმა აირჩია წინასწარი კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს სხვადასხვა ვაჭართა ფართლეულის აწერა და მის გაყიდვის აკრძალვა, თუ ამის შესახებ საგუბ. სასურსათო კომიტეტისგან არ იქნება ნებართვა.

✦ ქურდობა. ქურდობამ ქალაქში სისტემატიური ხასიათი მიიღო. ყოველ ღამე სტეხენ სახლებს, სარდაფებს, ბეღლებს და იტაცებენ ღვინოს, ტანთ-საცმელს და სხვა ავეჯებს. ჭავჭავაძის ქუჩაზე გაქურდეს: სამსონ დუშაძე, (წაიღეს ღვინო), ვლადიმერ რუხაძე. (წაიღეს ღვინო და ქვაბები), გიორგი ტყეშელაშვილი (წაიღეს ღვინო და სხვადასხვა ნივთები): რაჟ. შავგულიძეს მოჰპარეს ინდოურები და ქათმები.

✦ „ჟურნ. თავისუფლება. რედაქციამ მიიღო ჟურნ. „თავისუფლების“ მორიგი ნუმერი (№ 5).

✦ ახალი წიგნი. რედაქციამ მიიღო თ. მთავრიშვილის და ამხანაგობის წიგნის მაღაზიის მიერ გამოცემული ახალი წიგნი — კაზმულ სიტყვიერებითი ქრისტომატია: „ჩვენი ახალი მწერლობა“, შედგენილი ს. გორგაძის მიერ. წიგნი შეიცას 592 გვერდს, სუფთათ არის გამოცემული და ყდით ღირს 2 მან. და 50 კაპ.

— ქალაქის აღწერა მოთავდა, როგორც აღმოჩნდა, ქუთაისში მცხოვრებთ რიცხვიდან 22 ათასი ახალი კანონის ძალით ხმის მიმცემი ამრჩეველია. ამ რიცხვში არ შედის ჯარის კაცები.

✦ შეცდომების გასწორება. ვაჟა-ფშაველას სახელობის ბიბლიოთეკის წლიურ ანგარიშში სიტყვა ,,ნაჩუქარ''-ის შემდეგ გამოშვებულია სიტყვა ,,კირის'', ხოლო ,,პირვ. შინაარსის'' ნაცვლად უნდა იყოს: ,,პირველის შინაარსს''; ,,ნაცრიშვილს'' მაგივრად-კი შეგიძლიათ წაიკითხოთ: ,,მასწავლებელი ლადო ბზვანელი-ნაკვლიშვილი'-, რომელსაც გულწრფელად ურჩევ აწი მაინც თავი დაანებოს ჩემს წინააღმდეგ პრესასა და საზოგადოებაში ,,მისებრივ'' გამოლაშქრება-გამოსვლებს, თორემ, რასაც ანგარიშში ხელი აქვს წაფარებული და რაც ხითდფარულ გაკვრა-გამოკვრით არის ნათქვამი, მას მე, სხვა ბევრთან ერთად, გარკვევით ვიტყვი, და საწყენად არ დარჩეს.

უმორჩილესად ვსთხოვ „ჩვენი მეგობრის“ რედაქციას, რომელმაც ,,საგანზე კამათის შეწყვეტით“ თავის დროზე ჭეშმარიტების აღდგენის საშვალება მომისპო, ამ შენიშვნასთან ერთად ,,ჩვენი ქვეყნის'' 50 და 51 № №-ბში დასტამბული ანგარიშიც გადამიბეჭდოს თავის პატივცემულ გაზეთში მკითხველთა საყურადღებოდ. ვაჟა-ფშაველას სახელობის ბიბლიოთეკის მზრუნველი კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე ა, **მიქაბერიძე.**

### პროვინცია.

**სოფ. უჩხუბი.** აქ გაიხსნა უფასო წიგნთ საცავი სამკითხველო

**კულაში** სოფლის ყრილობამ გამოიძია იმ პირთა ვინაობა რომელნიც რევოლუციამდე ხალხს მტრობდენ და ძველ რეჟიმს ხელს უწყობდენ. ასეთ პირებათ ჩასთვალეს ს. კიკაბიძე ბეს. ნინუა, ესენი დამფუძნებელ კრებამდე დატუსადებული იქნებიან.

### თბილისი.

✦ კავკასიის რუქა. კავკასიის სამხედრო შტაბის სატოპოგრაფიო განყოფილება სისწრაფით ადგენს კავკასიის რუქას, რომელზედაც აღნიშნული იქნება მცხოვრებთა რაოდენობა, ეროვნებათა მიხედვით, ნიადაგი მიწისა, ჰავა და სხვ. ეს რუქა წარგენილ იქნება რუსეთის დამფუძნებელ კრებიზე.

✦ ქართული საგიმნასტიკო კავშირი ქართულ მხედართა კავშირი აარსებს ქ. თბილისში ქართულ სავარჯიშოს საზოგადოებას „ამირანს“. რომლის საშვალებითაც ჰსურს ქართველი ერის ჯანსაღობის გაუმჯობესობა, აქ გამოცდილ და დამსახურებულ მასწავლებელთა ხელმძღვანელობით იქნება ვარჯიშობის ყველა დარგის მეცადინობა. საზოგადოებაში მიღებულ იქნებიან ყველა განურჩევლად სქესისა არა უმცირეს 16 წლისა. საზოგადოება ვარჯისობის მიხედვით დანაწილებულ იქნება წრეებად: 1) მსროლელთა—წყებრივი, 2) მსუბუქ საატლეტიკო, 3) საგიმნასტიკო. 4) მძიმე საატლეტიკო, 5) ბურთაობისა, 6) ფარიკაობისა, 7) ჰიდაობისა და 8) ველოსიპედი. წევრებად ჩაწერა შეიძლება გაზ. „ჯარის კაცის'' რედაქციაში. დილის 10--2 და სალამოს 7—8-დის.

✦ კ. ბალმონტის ჩამოსვლა. თბილისში ჩამოვიდა ცნობილი რუსი პოეტი კ. ბალმონტი. კ. ბალმონტს უკვე დაუმთავრებია თარგმნა ,,ვეფხის ტყაოსნის''. განზრახვა აქვს მოკლე ხანში გამართოს ,,რუსთველის სალამო''. პოეტი წაიკითხავს აგრეთვე თავის განთქმულს წიგნიდან ,,შურის მაძიებლის სიმღერებს'' ,,ПѢСНИ МСТИТЕЛЯ'', რომელიც დაწერილია 1905 წელში და რისთვისაც იძულებული იყო დაეტოვებია რუსეთი და ათი წელი საზღვარ გარედ ეცხოვრა.

### კავკასიის ქრონიკა.

**ბაქო,** საგუბ. სატუსაღო ციხეში დეზერტირებმა და სხვა დაჭერილებმა ამბოხება მოახდინეს, გარეკეს დარაჯები და ციხის დარბევას შეუდგენ. მოაჯანყეთა დასაწყნარებლათ გამოიწვიეს ჯარი ტყვიის მფრქვეველებით, გაიმართა სროლა. დახოცილთა რიცხვი ჯერ გამორკვეული არ არის.

### საქართველოს ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის კონფერენცია.

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

8 ივნისის დილის სხდომა.

გ. ჟურული კითხულობს დასაბუთებულ მოხსენებას საქართველოს ფინანსების შესახებ. მომხსენებლის აზრით ჩვენი ქვეყნის ავტონომიის დამყარება ფინანსიურის მხრით სრულიად უზრუნველყოფილია.

კრება ხანგრძლივის ტაშით აჯილდოვებს მომხსენებელს.

ვლ. მიქელაძე იძლევა პოლიტიკურ ისტორიულ ცნობებს გ. ჟურულის მოხსენების გამო. ის ამბობს, რომ იმ ვალიდან, რომელიც რუსეთს ედება ამ ომიანობისაგან, საქართველოს წილად ხვდება დაახლოვებით ასი მილიონი, თითოეულ სულს კი, შუათანა რიცხვით, ასი მანეთი

ჟურულის მოხსენების გამო ლაპარაკობენ კიდევ ბ ნ ი ადამაშვილი, ტიტე მარგველაშვილი, პაპუნაშვილი, რაფიელ ივანიცკი.

გიორგი გვაზავა ამხნევებს კრებას, ნუ შეუშინდებით ვალის სიდიდეს, რომლის რაოდენობის განსაზღვრა ამჟამად ყოვლად შეუძლებელია და ერთობ სათუო. ყოველ შემთხვევაში ნეტარი თავისუფლება — პოლიტიკურ-ტერიტორიული ავტონომია, რომელსაც ჩვენ ვეტრფით და იმედია, მივაღწევთ კიდეც, თუ გვექნა ერთი პირი და გული, შეგვაძლებინებს მოსალოდნელ ვალის გადახდას.

გ. ჟურული იძლევა წინადადებას, პარტიის მთავარმა ბიურომ მოიწვიოს მცოდნე პირები საქართველოს ფინანსიურ მდგომარეობის და მომავალ ბიუჯეტის გამოსაკვლევად და შესადგენად.

კრებამ მიიღო ეს წინადადება.

ილია ფერაძე კითხულობს მოკლე რეფერატს აჭარაზე. მოხსენებიდან სჩანს, რომ მაჰმადიან ქართველებისთვის უნდა დაარსდეს ბათომში საკუთარი სასულიერო მმართველობა და დამოუკიდებელ მუფთის თანამდებობა და აგრეთვე სამაჰმადიანო სასტატო სემინარია, რომელმაც უნდა აღზარდოს სასულიერო პირები, დედა-ენაზე მქადაგებელნი.

კრება იწონებს ამ წინადადებას.

ს. გორგაძე (ისტორიკოსი, ქართული ენის მასწავლებელი) აკეთებს მოხსენებას საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის და სხვა სარწმუნოებათა შესახებ. ამ მოხსენების გამო კრებამ დაადგინა:

1. მიელოცოს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მოსაყდრე უ-დ სამღვდელო ლეონიდეს გათავისუფლება საქართველოს ეკლესიისა 100 წლოვანის მონობისაგან და თან ეცნობოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის სურვილი, რომ გათავისუფლებული ეკლესიის შინაგანი მართვა-გამგეობა მოწყობილ იქნეს ფართო კრებითი დემოკრატიულ (წარმომადგენლობით) საფუძველზე.

2. გაეგზავნოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს და ობერ-პროკურორს დეპეშა, რომელშიაც გამოითქვას უკმაყოფილება იმის გამო, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დადასტურების დროს მხედველობაში არ იყო მიღებული საქართვ. ეკლესიის ავტოკეფალობის კანონიური და ისტორიული (—ტერიტორიული) მხარე, — აგრეთვე პროფ. ბენეშევიჩის უტაქტო მოქმედების შესახებ.

3. ის მამულები, რომელნიც რუსეთის მთავრობამ საქართველოს ეკლესიას ჩამოართვა და სახაზინოდ ჩარიცხა, დაუბრუნდეს ქართველ ხალხს სრულ საკუთრებად იმ წესით, რომელიც კონფერენციის მიერ მიღებულია სახაზინო და საუფლისწულო მამულების შესახებ; ხოლო საკითხი სამღვდელოებისა და ეკლესიის უზრუნველყოფისა გადაწყვეტილ იქნას იმ წესით, რომელსაც შეიმუშავებს სრულიად საქართველოს დამფუძნებელი კრება საქართველოს ეკლესიასთან შეთანხმებით.

4. საზოგადოდ დანარჩენ სარწმუნოებათა შესახებ ქართველთა შორის (მუსულმანობა, კათოლიკობა, გრიგორიანობა და ისრაელობა) აღსარებულ იქნას პრინციპი მათის მოწყობისა ფართო დემოკრატიულ ეროვნულ და დამოუკიდებლობის (სინიდისის თავისუფლების) საფუძველზე.

კრებამ მოისაზრა კიდევ ს. გორგაძის მოხსენების საგანი და დაადგინა, მიღებულ მუხლთაგან გადიდვას ასრულება 2 და 3 მუხლისა, ხოლო ეხლავ მოიყვანონ სისრულეში 1 და 4 მუხლები.

8 ივნისის საღამოს სხდომა.

ამ სხდომაზე გადაწყდა:

1) პროგრამის 11 გვერდზე მოქალაქობრივ უფლებების წინ, მეორე შენიშვნად შეიტანონ შემდეგი შენიშნვა: „აჭარასა და სხვა სამუსულმანო საქართველოს, ისე როგორც აფხაზეთსა და საპამადიანო საქართველოს ყოველ სხვა პროვინციასაც მიეცემა თავის თვით მმართველობა.

სამუსულმანო საქართველოში ყოველი ზნე-ჩვეულება და ადათი, ისე როგორც სარწმუნოება, მტკიცედ დაცული და ხელშეუხებელი იქნება ავტონომიის კონსტიტუციით".

2. პროგრამისვე მე-12 გვ. მეოთხე მუხლს გაუკეთონ შემდეგი შენიშნვა: ,,აჭარაში და საზოგადოდ მაჰმადიან საქართველოს ნაწილებში ადგილობრივი სამართალი უნდა მოეწყოს თანახმად შარიატის წესისა და ხალხის სურვილისა.

ეკლესიის განყოფილების მეორე მუხლის შენიშნვად გადაწყდა შეიტანონ შემდეგი:

,,სარწმუნოებრივი მართველობა ქართველ მაჰმადიანთა, ქართველ კათოლიკეთა, ქართველ ისრაელთა და ქართველ გრიგორიანთა დამოუკიდებელია და ავტონომიერად მოწყობილი".

შემოვიდა განცხადება ოცდა ათიოდე დელეგატისა, ხელ-ახლავ განხილულ იქნას კომისიაში რეზოლუცია საგრარო საკითხზე მათი ხუთი დელეგატების დასწრებით.

იმართება კამათი, რომელშიც მონაწილეობას იღებენ ტ. მარგველაშვილი და მ. მაჩაბელი.

კრება თავის მხრივ ირჩევს 5 დელეგატს იმავ კომისიაში: ი. მაჭავარიანს, შ. ქარუმიძეს, ტ. მარგველაშვილს, ვასილ წერეთელს და ირაკლი ამირაჯიბს.

განცხადების შემომტანთა მხრით არჩეულნი არიან: სანდრო შანშიაშვილი, ა. ახმეტელაშვილი და სხ.

გერონტი ქიქოძე კითხულობს მოხსენებას თანამედროვე პოლიტიკურ მომენტზე.

გვიან ღამით საგრარო საკითხის რეზოლუციის განსახილველად არჩეული შერეული კომისია აცხადებს, რომ ის ვერ შეთანხმდა საკითხის ახალ თვალსაზრისით გადაწყვეტაში. სანდრო შანშიაშვილი მომხრეებით ცხარე პროტესტს უცხადებენ იმათ, ვინც ეწინააღმდეგება მემამულეთაგან ნორმაზე ზედმეტი მიწის უსასყიდლოდ ჩამორთმევას უსასყიდლოთვე მიწის მუშათათვის დასარიგებლად.

ბოლოს, მწვავე ლაპარაკის შემდეგ, დაადგინეს საგანი კენჭის ყრით გადაეწყვიტათ. 80 ხმით 50 ხმის წინააღმდეგ გადაწყდა ნორმის ზედმეტი მიწა მემამულეებს ჩამოერთვას გამოსყიდვით, სამართლიანის შეფასებით.

ს. შანშიაშვილი და იმისი მომხრენი კენჭის ყრითაც არ დაკმაყოფილდენ და გამოაცხადეს, რომ ისინი ცალკე დარაზმდებიან.

9 ივნისის კრება.

იხილავენ ტაქტიკის საკითხს. კრება დაიხურა არა დელეგატთათვის. კამათმა გასტანა ნაშუადღევის 4 საათამდის.

საღამოს სხდომაზე „საქართველოს" რედაქტორმა გრ. ვეშაპიძემ წაიკითხა მოხსენება საქართველოს მოსაზღვრე ერების შესახებ და ოსმალეთის საქართველოს საკითხის თაობაზე.

ამ მოხსენების გამო კრებამ დაადგინა:

„ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, მოისმინა რა მოხსენება ვ. ვეშაპიძისა, მიესალმება დიდი სიხარულით ეროვნულ-პოლიტიკურ თვითგამორკვევას. მეზობელ ერთა, და დარწმუნებულია იმაში, რომ მათთან შეთანხმებულ მოქმედებით და მუშაობით უფრო განმტკიცებულ და დაცულ იქნება პოლიტიკური და ეროვნული თავისუფლება, —გადადის მორიგ საკითხზე."

10 ივნისის სხდომა.

თავმჯდომარეობს სპირიდონ კედია შალვა ამირაჯიბი კითხულობს მოხსენებას პარტიათა სტრუქტურაზე, მათ შორის არსებულსა და აგრეთვე სასურველს განწყობილებაზე.

შემდეგ ლაპარაკობენ ვასილ წერეთელი, დ. ვ. ტყავაძე, ნიკო ჯავახიშვილი, სვ. ქვარიანი, შ. ქარუმიძე, ირ. ამირაჯიბი, მისაბიშვილი.

სპ. კედია აცხადებს საზოგადო დებულებებს, რომლებიც გამომდინარეობენ პარტიის პროგრამისაგან და დელეგატთა ნალაპარაკევისაგან.

შემდეგ ლაპარაკობს ისევ შ. ამირეჯიბი, რომლის შემდეგ გ. გვაზავა, თავმჯდომარე, აცხადებს მისაღებად შემდეგ რეზოლუციას:

„კრებამ, მოისმინა რა მოხსენება შ. ამირაჯიბისა, ერთხმად მიიღო დებულება, აღსარებულ იქმნას საჭიროთ შეთანხმება საქართველოს ყველა პოლიტიკურ პარტიისა და ერთი ეროვნული საბჭოს დაარსება".

გერონტი ქიქოძეს შემოაქვს შესწორება ამ დებულებისა. ბოლოს კამათის შემდეგ, საბოლოოდ მიიღეს ასეთი რეზოლუცია:

„ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ყრილობამ მოისმინა რა მოხსენება შ. ამირაჯიბისა და დარწმუნებული იმაში, რომ ეხლანდელ მომენტში შესაძლებელია და აუცილებელიც საქართველოს პარტიების შეთანხმება საქართველოს პოლიტიკური თავისუფლების დასამყარებლად და დაარსება ამისთვის ერთი ეროვნული საბჭოსი, —გადადის მორიგ საკითხზე.

ა. ასათიანი კითხულობს პარტიის პროგრამის საერთო განხილვას და მასში შეტანილ ახალ ცვლილებებს.

ამ საგანზე კამათის შემდეგ ბ. სპ. კედია აკეთებს მოკლე მოხსენებას პარტიის პრესის შესახებ.

იმართება კამათი.

(გაგრძელება იქნება)

**ილია ჭყონია.**

## პეტროგრადის ქართველთა კოლონია.

გაზ. ,,პეტროგრადის უწყებები"ს ცნობით ამას წინათ მოხდა პეტროგრადის ქართულ კოლონიის კერძო ყრილობა. სენატორმა ზ. ავალიშვილმა მოხსენება წაიკითხა საქართ. ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ. როგორც გამოირკვა ივერიის ეკლესიის დრ. მმართველობას და პროფ. ბენეშევიჩს დრ. მთავრობის თვის გაუგზავნია დეპეში, რომელშიც აღნუსხულია საქართველოს ეკლესიის უფლებათა პუნქტები. დროებითი მთავრობა და ივერიის ეკლესიის დრ. მმართველობა უკვე შეთანხმდენ.

საქართ. ეკლესიის დრ. მმართველობის და პროფესორ ბენეშევიჩის დეპეშთან დროებით მთავრობას მოუვიდა კავკასიის კომისარების დეპეშა: ჩხენკელისა ხარლამოვისა, ჯაფაროვისა და პაპაჯანოვის. (დეპეშაზე ხელს არ აწერდა კ. აბაშიძე) კომისარები დრ. მთავრობას სთხოვდენ, რომ მცხოვრებთა დასაწყნარებლათ, რაც შეიძლებოდა მალე, გადაწყვეტილიყო საქართველოს ეკლესიის კითხვა.

მოხსენების დროს მთავარი ყურადღება მიიქცია ქართულ ეკლესიის ტერიტორიალობის კითხვამ. ზოგიერთი ორატორი დღევანდელ მომენტისათვის მიზან შეუწონლად სთვლიდა საქართველოს ეკლესიის ტერიტორიის გამო რუსის სამღვდელოებასთან კომფლიქტს. კრების უმეტესობა აღნიშნავდა, რომ უტერიტორიო ავტოკეფალია ყოვლად შეუძლებელი და შეუწყნარებელიაო. კრება აგრეთვე შეეხო იმ კითხვას, რომ რუსის სამღვდელოებამ იუკადრისა საქართველოში არსებულ რუსულ და ბერძნულ ეკლესიების საქართველოს კათალიკოსისათვის დაქვემდებარება და, სხვათაშორის, ის აზრი გამოსთქვა, რომ, თუ პეტროგრადში ქართველთა, ესტონელთა და ბერძენთა მრევლები ემორჩილებიან რუსის ეკლესიას, რატომ ეს არ შეიძლება საქართველოში.

ყრილობას პეტროგრადის ქართულ კოლონიის და მრევლის ნივთიერ მდგომარეობის შესახებაც ჰქონდა მოლაპარაკება. ილაპარაკეს ნიკო ნიკოლაძემ და მღვდელმთავარმა კირიონმა.

## შრომა.

სიამოვნება შრომაშია. ეს ცხადია, მაგრამ ერთგვარი შრომა არ არის ყოველთვის სასიამოვნო, —ესეც ჭეშმარიტებაა. შემჩნეულია, რომ სოფლის, მუშა ხალხი, რომელიც ათას გვარ სხვა დასხვა ნაირ შრომას ეწევა სხვათა შორის თავის წესზე გონებრივ შრომასაც არ არის მოკლებული, უფრო ჯან-საღია და დიდ ხანს ცოცხლობს, მინემ ინტელიგენტი, რომელსაც მარტო შრომის ერთი დარგი აქვს დასახული. ამა თუ იმ ინტელიგენტმა ცხოვრების ეს კანონი ძლიერ კარგათ იცის; მაგრამ თავის თავს მაინც ვერ მორევია და — შრომის სხვადასხვაობას ვერ შეჩვევია. მე იმას არ მოგახსენებთ, რომ ინტელიგენტმა მაინცა და მაინც ფიზიკური შრომა შეითვისოს, თუმცა, რასაკვირველია, არც ამის წინააღმდეგი ვარ, მაგრამ ის კი ვერ წარმომიდგენია, რომ ერთი დარგის მოხელე ინტელიგენტს მეორე დარგის ინტელიგენტური შრომა რატომ არ უნდა ეხერხებოდეს და უყვარდეს. მაგალითად ექიმს რატომ არ უნდა ეხერხებოდეს თავის შვილს ანა-ბანა ასწავლოს და ამ შრომით თავისუფალ დროს დატკბეს და ან მასწავლებელს ექიმობიდან იმდენი მაინც რატომ არ უნდა გაეგებოდეს, რომ ამ მეცნიერების ელემენტარულ ცოდნის ვარჯიშობაში გაატაროს, თავისი ოჯახის, მეზობლებისა და ნაცნობების სასარგებლოდ, საზაფხულო თვეები და სხვა თავისუფალი დრო. მართალია ამ სხვადასხვა გვარ ცოდნას დღევანდელი სასწავლებლები არ გვაძლევენ, მაგრამ რომელ სასწავლებელს შეუძლია იმდენი მოგვცეს, რასაც დიდი წიგნი ბუნებისა და დაკვირვებული ცხოვრების გამოცდილება გვაძლევს. სხვადა სხვა საგნის სპეციალობა დაგვიჯინია და ცხოვრების მოთხოვნილებას და პირად სიამოვნებას კი ანგარიშს არ ვუწევთ. არა, ეს მხოლოდ რეგვენის საქმეა და არა ჭკუათა მყოფელი ადამიანისა. ვისაც დიდი ხნისა და სიამოვნებითი ცხოვრება უნდა, იმან უსათუოდ თავისი თავი შრომის სხვადასხვაობას უნდა მიაჩვიოს. ერთგვარი შრომა, ვიმეორებ, უდროოთ კლავს ადამიანს და მის გონებას აჩლუნგებს.

**მ. ბუაჩიძე.**

## წერილი სპარსეთიდან

სპარსეთის ორი პროვინცია აზერბეიჯანი და გილანი დღეს ფაქტიურად რუსის ჯარის ხელშია, ხოლო სახელით კი ისევ სპარსეთის გამგებლობის ქვეშაა. ასეთ ორ გამგემგებლობის გამოისობით მთელ ჩრდილო-დასავლეთ სპარსეთში ანარქიაა გამეფებული და განსაკუთრებით ეს ითქმის გილანზე, სადაც ცნობილი ყაჩაღი ქუჩუკხანი თავისი რაზმით აძრწუნებს და შიშის ზარსა სცემს მცხოვრებთ. ქუჩუკხანი რევოლუციამდე დატუსაღებული იყო, ხოლო შემდეგ ქ. რეშტის აღმ. კომიტეტმა გაათავისუფლა ის, მიუხედავად ამისა იგი არც აღმ. კომიტეტსა სცნობს. ამას წინად მან მცხოვრებლებს განუცხადა.

„მოყვარეს მოყვრულად შევხვდები— მტერს მტრულად შევეგებებიო!" ქუჩუკხანის „საბრძანებელი" ტყე არის და მისივე სიტყვით, ტყეს იგი მაშინ მოშორდება როცა "რუსეთის საექსპედიციო რაზმი სპარსეთს დასტოვებს".

ეს ყაჩაღი ისეთივე გმირად გადაიქცა აქ, როგორიც ერთხანად ქართველებისათვის არსენა იყო. თუ ვინმე სადმე უსამართლოობით დასჯილა, უეჭველად ქუჩუკ-ხანთან მიდის იმ იმედით, რომ ის დასდებს მის გულს მალამოს და დასჯის მტყუანს.

ქუჩუკ-ხანი დღითი დღე ძლიერდება: მისი ბრბო იზრდება, ხოლო მცხოვრებნი, ზოგი შიშით შეპყრობილი, ზოგი მისდამი პატივის ცემით, მას ფულსა და სურსათს უგზავნის. ამ ბოლო ხანს ქუჩუკ-ხანს მეტოქე გამოუჩნდა ვინმე აჯისამედ-ხანი, რეშტის ყოფილ გუბერნატორის შვილი, ამ ორი წლის წინად კაცის მკვლელობისათვის დევნილი. მაგრამ იგი ნაკლები ღირსებებითაა აღჭურვილი და სუსტი აღმოჩნდა. ამას წინად ქუჩუკ-ხანის მიერ გაგზავნილმა რაზმმა დაამარცხა აჯი-სამედ-ხანი და განდევნა. ამნაირად გილანი ყაჩაღების სათარეშოდ არის გადაქცეულ.

ამას ზედ დაემატა კიდევ რუსის ჯარის კაცთა თვითნებობა ამას წინად ქ. ენზელში ჯარის კაცებმა ადგილობრივ ვაჭრებს დაუწყეს რბევა ხოლო მილიციონერებს ცემა-ტყეპა და სროლა აუტეხს. რუსის შეიარაღებული მეზღვაურები რომ არ მოსულიყვნენ და არ დაემორჩილებინათ ჯარისკაცები, ქ. ენზელი საგრძნობლად დაირბეოდა.

რაც შეეხება ცხოვრების გაძვირებას, ამ მხრივ პირდაპირ აუტანელია მდგომარეობა, განსაკუთრებით რუსეთის მოქალაქეთათვის, რადგანაც ერთის მხრით რუსის მანეთის ღირებულება ეცემა და მეორეს მხრით პური ბაზარში სრულიად არ იშოვება და, თუ სადმე აღმოჩნდა, ისიც გირვანქა მანეთად ნახშირივით შავი.

ქ. რეშტი. 3 ივნისი **შაქარ ბეგი.**

## მოწყვეტილი ამბები.

**სოფ. გეგუთი.**

იშვიათია ქვემო იმერეთში ისეთი სოფელი თავისი ისტორიული წარსულით და მდებარეობით, როგორც არის სოფ. გეგუთი. არის ძველი ისტორიული ნაშთი, როგორც გადმოგვცემენ თამარ მეფის დროს ნაშენი კოშკის ნანგრევები, ციხე-სიმაგრე და საყდარი, რომელიც ამაყად გადმოყურებს მთელ არე-მარეს და ყველა გამვლელს კი თვალ-წინ გადუშლის ძველი ქართველების სიამაყეს. მაგრამ ჩვენდა სამწუხაროთ იგი ობლად არის დღემდე დარჩენილი, მას ყურადღების მიმქცევი არავინ ყავს.

ამას გარდა ეს სოფელი ისედაც ძლიერ ჩამორჩენილია კულტურულად. აქ არ არსებობს არავითარი დაწესებულება გარდა ერთ კლასიანი შკოლისა და ისიც სოფელზე დაშორებულ ალაგს. სოფელს არ აქვს ისეთი აუცილებელი მოთხოვნილება, როგორიც არის, განსაკუთრებით დღეს, წიგნთსაცავ-სამკითხველო. იმის დაარსება სოფელმა რამოდენიმეჯერ განიზრახა, მაგრამ იგი რაღაც გამოურკვეველ მიზეზის გამო დღემდე ვერ მოიყვანა სისრულეში. დღეს აღმოუჩნდა მეთაური ქალი, რომელმაც შეაგნებია ხალხს მისი აუცილებლობა. მცხოვრებლებმა, როგორც იყო, დიდი გაჭირვებით დაუთმო ცალკე შენობა.

სამკითხველო ძლიერ ღარიბია, იგი საჭიროებს დახმარებას, ამისთვის გთხოვთ ყველას, ვისაც კი გული შეგტკივათ ასეთი სიმპატიური დაწესებულებისათვის, დაეხმაროთ, რითაც კი შეგიძლიათ. ამით ჩვენ ხელს შეუწყობთ სოფელს მით, რომ ცოტა განათლებას მაინც შევიტანთ ხალხში. სირცხვილია ჩვენი ინტელიგენციისთვის, რომ ასეთი ისტორიული სოფელი ასე გაუნათლებელია. შემოწირულება მიიღება შემდეგი მისამართით: მესხეთის ქუჩა მღ. მელიტონ ჩხაიძის სახლში, ანდა ,,ჩვენი ქვეყნის" რედაქციაში.

**მზრუნველი ქალი.**

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ, ნება გვიბოძოთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშვალებით ულრმესი მადლობა გამოუცხადოთ ბატონ ბიჟია სიმონის-ძეს ერისთავს, რომელმაც კეთილი ინება და შესწირა მისი შვილის, შალვა ბიჟიას-ძის ერისთავის, სულის მოსახსენებლად სალომინაოს ღვთის მშობლის ეკლესიას ზარა ღირებული შვიდას თერთმეტი მანეთისა (711 მ.)

სალომინაოს ღვთისმშობლის ეკლესიის მღვდელი გიორგი მიხეილის-ძე მებურიშვილი.

## შემოწირულება.

მოქალაქე რედაქტორო.

უმორჩილესათ გთხოვთ, ნება მოგვცეთ თქვენი პატივცემული გაზეთის ,,ჩვენი ქვეყნის" ფურცლებზე ულრმესი მადლობა გამოუცხადოთ იმ პირთ, რომელთაც კეთილინებეს და მწვანე ყვავილაში ახლათ დაარსებულ უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოს, აკაკის სახელობაზე, თავისი წვლილი შემოსწირეს და ამით ხელი შეუწყვეს სამკითხველოს მკვიდრ ნიადაგზე დაყენებას.

**შემომწირველთა სია:**

**ოც-ოცი მანეთი:** მიხაკო ბერეჩიკიძე და კოწია წულუკიძე.

**ათ-ათი მანეთი:** ნერსეს აკოფოვი, ილარიონ ჯავახაძე, სილიბისტრო ჭირაქაძე, გიორგი ყუფარაძე, [illegible] კოსტავა ძმები [illegible] შვილები. [illegible] ლე ჯავახაძე.

**ხუთ-ხუთი მანეთი:** [illegible] დონდუა, მარო [illegible] დონდუა, [illegible] დონდუა, [illegible] [illegible] ბ. ბადრიძე, გრ. ნასარიძე, პეტრე გოკიელი, [illegible] კუჭაძე, [illegible] ლიძე, ნინო ფივინაშვილის, ედუკი მესხის, სამსონ თათარიშვილი, ვანო მამრიკიშვილი, ნატალია გოლუსტოვის, მეთოდე ჭეჭინაძე, ერემია ქვანია, მღ. ნესტორ გიორგაძე, თედორე მორჩაძე, პავლე ჩაკვეტაძე, გ. გორდაძე, სიმონ ხეჩინოვი, ივლიანე ანჯაფარიძე, სოლომონ გიორხელიძე.

**სამ-სამი მანეთი:** ბუტულაშვილი, ნატალია მღებროვი, ნიკო ჯაიანი, ბ. სოკოლოვსკის, კვინიხიძე, ს. ჩხიკვაძე, დ. ხელთუფლიშვილი, №№, ს. ლორთქიფანიძე, მ. ლ. ლორთქიფანიძე, ბაბილინა კუჭაიძე, გაბრიელ ბაკურაძე, ევგენია ჯოხია, ალექსანდრე ჩირაძე, გრიგოლ ჩირაძე, ვანო ჰეიშვილი, კ. ლაშქარიშვილი, ვ. ჩუბინიძე, ს. ძოწენიძე, ოლღა ჯავახაძე, ვ. ჩირაძე, ის. ტურაბელიძე. მიხ. ტურაბელიძე, საულ აბვლედიანი, კ. ლომთაძე, სონა გვანცალაძე, სტეფანე კამპანიონი, დათიკო ქებაძე, მ. ტ. ჰეიშვილი, პოლა კუჭაიძე, ლ. გრიგოლაშვილი, დავ. ტყეშელაშვილი, ვას. ფურცხვანიძე, ვ. ჰოლოშვილი, ს. მოწონელიძე, ძმა ეხსანოვები, კილასონია და კაპანაძე, ლუკა გრიგოლაშვილი, სოლ. ელიგულაშვილი, ილ. ხაზარაძე, კოწია ჩიტაია, ი. გოგიტაძე, ცნობილაძე, არ. რიჟინაშვილი, ,,საფი", გვიჩია, პ. გრიგოლაშვილი, ვ. ჩხვაძე, თეოფილე გიორგაძე, №№ ნ. ახეიძე, რეფიელ ბუზიაშვილი.

(შემდეგი იქნება.)

რედაქტორ-გამომცემელი **დ. ბ. კვირკელია.**


## ექიმები:

**ვ. ი. გოკიელი** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. 7 თ.

**ა. მ. ასათიანი** ლებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

**ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს.
(სისხლში შესხმა „606" და „914") დილით $12^1/_2$—2 საათ. საღამოს 6—8 ს.
მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. 4


## რკინისგზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის — | 8 ს. | წ. |
| „ | — საღამ. — | 8 ს. 50 | „ |
| ბათომიდან | — დღისით — | 12 ს. 40 | „ |
| „ | — ღამის — | 1 ს. | „ |
| ფოთიდან | — დილის — | 10 ს. 26 | „ |
| ტყიბულიდან | საღამოს — | 6 ს. 50 | „ |
| ხაშურიდან | — დილის — | 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | 11 ს. — | „ |
| „ | ღამის | —11 ს. 34 | „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | 7 ს. 5 | „ |
| „ | — დილის — | 7 ს. | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით — | 4 ს. | „ |
| ტყიბულისაკენ | — დილის — | 8 ს. 40 | „ |
| ხაშურისაკენ | — დღით — | 5 ს. 20 | „ |


ქუთაისში დაარსდა ახალი წიგნის გამომცემლობა

„განახლება"

რომელსაც მიზნად აქვს დაუმზადოს და მიაწოდოს განახლებულ ქართულ შკოლას როგორც დაბალს, ისე საშუალოს, და აგრეთვე მომავალ უმაღლეს სასწავლებელს შესაფერი სახელმძღვანელოები. სალიტერატურო და სამეცნიერო წიგნები, რუქები, ატლასები და ყოველგვარი გამოცემები, რაც ქართულ შკოლას გამოადგება.

ავტორებს შეუძლიათ გაუგზავნონ თავის ნაწარმოები და მიმართონ პირობების გასაგებად გამომცემლობის კანტორის გამგეს გიორგი ს. სვანიძეს დილის 9 ს. 12 ს—დი. მისამართი: ქუთაისი ქართული გიმნაზია